ხელშეკრულება № 113
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი **19 აგვისტო 2019 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი“), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ანიკა” (ს.კ 418469570) (შემდგომში – მიმწოდებელი), დირექტორის დავით ენდელაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საღებავი ფუნჯების (CPV39224210), სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალების (CPV44100000), ხელსაწყოები, საკეტები, ანჯამები, დამჭერების (CPV44500000) და საღებავები, გამხსნელების (CPV44800000), გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

1.2.ხელშეკრულების ობიექტია:

№	*საქონლის დასახელება*	*კოდი* CPV	*ზომის ერთეული*	*რაოდენობა*	*ფასი*	ჯამი
1.	ემულსია პროფი ლატექსი	44810000	ცალი	1	45,00	45,00
2.	ალპინა ფასადის ნაცადი	44810000	ცალი	6	95,00	570,00
3.	გამხსნელი	44832200	ცალი	1	6,00	6,00
4.	შპაკლი	44111000	ცალი	2	11,00	22,00
5.	ბოქლომი	44521210	ცალი	2	7,00	14,00
6.	ჩაქუჩი	44512300	ცალი	1	15,00	15,00
7.	სილიკონი	44111000	ცალი	2	5,00	10,00
8.	მუხლი	44134000	ცალი	10	0,40	4,00
9.	მილი 3/4	44164300	ცალი	4	1,50	6,00
10.	სახრახნისი	44512800	ცალი	6	3,00	18,00
11.	ემულსია ლატექსი 3 კგ	44810000	ცალი	4	7,00	28,00
12.	ფუნჯი	39224210	ცალი	3	5,00	15,00
	სულ					753.00

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

2.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულება CPV კოდების მიხედვით:

1.საღებავი ფუნჯების (CPV39224210)-15(თხუთმეტი)ლარი.

2.სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალების (CPV44100000)-42 (ორმოცდაორი)ლარი.

3. ხელსაწყოები, საკეტები, ანჯამები, დამჭერების (CPV44500000)-47 (ორმოცდაშვიდი)ლარი.

4. საღებავები, გამხსნელები (CPV44800000)-649 (ექვსასორმოცდაცხრა)ლარი

2.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 753 (შვიდასორმოცდაცამეტი)ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით. მათ შორის დღგ.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5(ხუთი) სამუშაო დღეში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი. შინდისის ქ.2.

4.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები)

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

6.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 კალენდარულ დღეში.

6.3.ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი. გურამიშვილის ქ.5.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

8.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულე.ბლობით;

8.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო .ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

121.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება.ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ„გორის მუნიციპალიტეტის მერიის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფია სპეციალისტი მერაბ მერაბიშვილი. ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

13.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

13.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

14. სხვა პირობები

14.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

14.2არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”	შპს „ანიკა”
მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მის.გორი შინდისის ქ.2.
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები:სს „თიბისიბანკი”
ბ/კოდი TRESGE22	კოდი TBCBGE22
ს/კ 417874973	ა/ა GE11TB7960036080100008
	ს/კ 418469570
დირექტორი	დირექტორი
გ.ისიანი	დ.ენდელაძე

Gia Isiani Digitally signed by Gia Isiani Date: 2019.08.19 15:15:44 +04'00'